მაია ფირჩხაძე

ვიზუალიზაციის როლი ისტორიული შემეცნების ფორმირებაში და სემიოტიკური მიდგომები

I ნაწილი

სემიოტიკა და ისტორიის გაკვეთილი

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე მუდმივად ახლის ძიებაშია. რის მიზეზადაც, პირველ რიგში, განათლების სისტემის განვითარების ახალი ტენდეციები შეგვიძლია დავასახელოთ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება. ამიტომ სიახლეებისაკენ სწრაფვაც იმ გზების ძიებაში უნდა გამოიხატებოდეს, რომელიც ამ მიმართულებით წაგვიყვანს და წარმატებების მიღწევაში დაგვეხმარება. აღნიშნულ საგანმანათლებლო მოთხოვნებს შეესაბამება **ვიზუალური სასწავლო მეთოდიც, რომლის დროსაც მოსწავლეთა წარმოდგენებისა და შემეცნების ფორმირება პირდაპირი აღქმის ან მისი გამოსახულების მეშვეობით ხდება.**

ვიზუალური მასალა წარმატებით გამოიყენება ნებისმიერ საგანში, მათ შორის ისტორიის გაკვეთილზეც. მთავარია გვახსოვდეს, რომ მასალის ვიზუალიზაციას მხოლოდ მაშინ გააჩნია ათვისების მაღალი ხარისხი, როცა აღქმასა და სააზროვნო პროცესებს შორის მჭიდრო კავშირია.

ვიზუალური მასალის აღქმისთვის უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის სიტყვიერი ახსნა-განმარტებები, შეკითხვები, დავალებები, რომლებიც ერთგვარი მოტივატორის როლს ასრულებენ შემეცნების აქტივაციისთვის, რასაც შედეგად მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების გაუმჯობესება, მათ მიერ ინფორმაციის დახარისხება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების პოვნა მოსდევს. მაგრამ **როდესაც საქმე ეხება ვიზუალური მასალის გამოყენებას, შემეცნების ფორმირებისთვის ხელსაყრელია, რომ იგი არა ცალკეულ ნიმუშებად, ფრაგმენტულ გაკვეთილებად შევთავაზოთ მოსწავლეებს, არამედ მას სისტემური, უნარ-ჩვევების ათვისების, ავტომატიზაციის ხასიათი მივცეთ.** ეს გაზრდის მათ კომპეტენციას ინფორმაციასთან მუშაობის თვალსაზრისით და პედაგოგებსაც სასწავლო პროცესის დაგეგმვაში დაეხმარება.

სემიოტიკური მიდგომების გამოყენება აუცილებლად გულისხმობს მასალის კომბინირებას, ნიშანთა სისტემების, სიტყვებისა და ლოგიკური სააზროვნო პროცესების ურთიერთკავშირს. საწყის ეტაპზე უმჯობესია მოსწავლეს გავაცნოთ სიტყვის სიმბოლოდ გადაქცევის ხერხი, სიტყვის „თარგმნა სიმბოლოდ“. შემდეგ კი პატარა ინფორმაციული მასალების „სიმბოლოებად ჩაწერა/გადაკეთება“. შემდეგ ეტაპზე - დიდი მოცულობის ნარატივის სემიოტიკურ ენაზე ტრანსფორმაციაც. ამის შემდეგ შეგვიძლია კომბინირებული მასალის მიწოდება, რომელშიც სიტყვა /პირობითი ნიშანი/ სიმბოლო ერთ მთლიანობაში იქნება მოქცეული და უკვე მოსწავლისათვის ცალკეული მინიშნებებიც საკმარისი იქნება მოვლენათა სრული ანალიზისთვის.

გაკვეთილზე **ვიზუალური მასალის გამოყენება** ხელს უწყობს:

- შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას;
- თვითგანათლების და თვითგანვითარების გააქტიურებას;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას;
- საინფორმაციო კომპეტენციების გაზრდას.

ასეთი კომბინირებული ხერხებით, ცოდნის სხვადასხვა ეტაპების გავლით, მოსწავლისთვის ადვილად მისაღწევი ხდება სხვადსხვა სირთულის მასალის შეკვეცა-დასწავლა, თხრობა-დაწერა, ტესტირების გავლა თუ რთული ანალიზის გაკეთება. შედეგად კი ადვილად დაიძლევა სიძნელეები ისტორიული მასალის თეორიული შემეცნების გზაზე, ამიტომ ისინი წარმატებით გამოიყენებიან საგაკვეთილო პროცესში.

ვიზუალური მასალა მრავალფეროვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიზუალურად წარმოდგენილი პირობითი ნიშნები, ანუ ისტორიული მოვლენების გამოსახვა პირობითი ნიშნების გამოყენებით. ასევე - რუკები, სქემატური გეგმები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები, კლასტერები და ა.შ.

მაგალითად, ისტორიაში ყველაზე მეტად შემდეგი პირობითი სიმბოლური ნიშნები გვხვდება (სურ.1):

პირობითი სიმბოლური ნიშნები ისტორიაში



მეფე, სამეფო

ბრძოლის ადგილი

„თეთრგვარდიელები“

ფაშიზმი

განათლება

ადამიანი
(ხალხი)

სსრკ

≠ უთანასწორობა

ომი

ზრდა/დაცემა



ფლოტი

(სურ.1)

პირობითი სიმბოლოებით ძირითადად გამოიხატება:

თარიღები, მნიშვნელოვანი მოვლენების პერიოდები და პროცესები;

ფაქტების და მოვლენების ურთიერთკავშირი;

ცალკეული მოვლენების სახასიათო, არსებითი ნიშნები;

პირობითი სიმბოლოებით შესაძლებელია ფაქტების და ცნებების სისტემატიზაცია და დაჯგუფება;

ისტორიული ცნებების და ტერმინების ცოდნა.

პირობითი სიმბოლოები მოსახერხებელია ქსელური ჩანაწერების გაკეთების დროს, დიდი და რთული მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისას. **ასე შედგენილ მასალას პირობითად ძირითად, საყრდენ კონსპექტსაც უწოდებენ** (ანუ პირობითი ნიშნებით შესაძლებელია ძირითადი, საყრდენი კონსპექტის დამუშავება) (სურ.2).

<u>რეკომენდაცია ძირითადი, საყრდენი კონსპექტის გაკეთებისთვის</u>

(მოსწავლის / სტუდენტის სამახსოვრო)

❖ – კონსპექტის შედგენისას აუცილებელად მოისმინე მასწავლებლის ახსნა - განმარტება;
❖- გაკვეთილზე ხაზი გაუსვი და გამოყავი თემის ძირითადი შეკითხვები (ეს იქნება კონსპექტის ძირითადი საყრდენი მასალა);
❖ - იმავე დღეს შეასრულე საშინაო დავალება;
❖ - სახელმძღვანელოს ტექსტის წაკითხვისას შეადარე იგი ძირითად „საყრდენ" კონსპექტს; აუცილებლად გაიაზრე და „გაშიფრე" კონსპექტის ყველა ნიშან-სიგნალი;
❖ - დახურე სახელმძღვანელო და მოყევი პარაგრაფის შინაარსი ძირითადი კონსპექტის მიხედვით;
❖ - თუ წარმოიქმნა სიძნელეები, მთელი პარაგრაფი წაიკითხე თავიდან ბოლომდე;
❖ – ძირითადი საყრდენი კონსპექტი ისწავლე ზეპირად;
❖ - გახსოვდეს, რომ ძირითადი საყრდენი კონსპექტის წარმოებას გაკვეთილზე უნდა დაეთმოს მკაცრად განსაზღვრული დრო.

(სურ.2)

ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლეები ხშირად თვითონვე ქმნიან მარტივ პირობით ნიშნებს, რომელიც მოხერხებულია ინფორმაციის ჩაწერისა და აღწერისთვის. ასეთი პირობითი ნიშნებით შესაძლებელია მთელი თემის და პარაგრაფის გადმოცემა.

მაგალითად, თემაზე „საქართველო XX-ის პირველ მესამედში" მოსწავლეებმა შესაძლოა ასეთი შინაარსის ძირითადი, საყრდენი კონსპექტი შექმნან (სურ.3):





1. **საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა**
2. **რუსეთ - საქართველოს კონფლიქტი**

(სურ.3)

1- **ნაწილი** გვახსენებს იმ მასალას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ისტორიას ასახავს;

2- **ნაწილი** ასახავს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას რუსეთთან და შესაბამის თანმხლებ მოვლენებს;

3- **ნაწილ**ი კი იმ პროცესების ატრიბუციის ელემენტია, რომელიც საქართველოსა და სსრკ-ს ისტორიაში „ინდუსტრიალიზაციის“ პერიოდად მოიხსენება.

როგორც მკვლევრები გვეუბნებიან ძირითადი კონსპექტები ვერ წყვეტენ ისტორიის სწავლების მრავალ პრობლემას: კონსპექტების დაწერაზე, შექმნაზე უამრავი დრო იხარჯება, იკარგება მასწავლებლის მონათხრობის ემოციურობა; წარმოიშობა ისტორიის სქემატური გაგების და მის მიმართ დოგმატური მიდგომის საშიშროება, ის ორიენტირებულია მხოლოდ მოსწავლეთა მიერ ბაზისური ცოდნის ათვისებაზე. მაგრამ ფაქტია, რომ მასალის „შემოკლებისთვის“, „დასკვნების“ გაკეთებისთვის მასწავლებელს კიდევ სჭირდება „რაღაც“. ეს „არასაკმარისობა“ მასწავლებელს ხშირად აიძულებს შექმნას საკუთარი სისტემა მასალის გრაფიკულ-სქემატური ვიზაულიზაციისთვის (სურ.4):

მაგალითი:

მთავარი კონსპექტის ფრაგმენტი - „რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა ფორმირება“



(სურ. 4)

ყოველი ძირითადი, საყრდენი კონსპექტის ირგვლივ შესაძლებელია პრაქტიკუმის შექმნა. ის გამოირჩევა კომპლექსურობით, დამოუკიდებელი მუშაობის (მათ შორის კლასგარეშე მუშაობის) მრავალგვარობით. **დროთა განმავლობაში საშინაო დავალების რვეულები დიდაქტიკური მასალების კომპლექსად გადაიქცევიან, რაც ბუნებრივად იწვევს მუშაობის ტრადიციული მეთოდიკიდან ძირითად, საყრდენ კონსპექტზე გადართვას. ასეთი კონსპექტის შემცვლელად ხშირად „გამოდიან“ ლოგიკური სქემები, რომლებიც განიხილება, როგორც ერთგვარი „პირობითი ნიშნები“.**

ზოგადად ლოგიკური სქემები მრავალგვარია და დონეების მიხედვითაც შეიძლება დაიყოს. დონის ყოველი საფეხური ნიშანთა სისტემების და სიტყვა-სიმბოლოების გართულებაზეა დამოკიდებული. აქ ისინი კომბინირებული ფორმით გვხვდებიან: სიტყვა+ნიშანი+გრაფიკული გამოსახულება+ცნება. განვიხილოთ მაგალითი:

მაგალითი - პრაქტიკუმი თემაზე „ქართული სამეფო-სამთავროების შექმნა“

I დონე

1. როდის შეიქმნა ქართული სამეფო-სამთავროები?

ა) VII ს. ბ) X ს. გ) XI ს. დ) VIII ს.

2. რა მოვლენა მოხდა 975 წელს?

ა) ბაგრატ კურაპალატი შიდა ქართლის მეფედ აკურთხეს;
ბ) ბაგრატ კურაპალატი შიდა ქართლის მმართველად დასვეს;
გ) ბაგრატ კურაპალატი აფხაზეთის ერისთავად დანიშნეს;
დ) ბაგრატ კურაპალატი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა.

3. ქვეყნის გაძლიერებისათვის რომელი ღონისძიებები ეკუთვნის გიორგი ბრწყინვალეს?

ა) „ძეგლისდება მთიულთათვის“;
ბ) ქვეყნის საერისთავოებად დაყოფა;
გ) რელიგიური რეფორმა;
დ) შემოიერთა ჩრდილო კავკასია.

4. ვის ეომებოდა თორნიკე ერისთავი ღალისის ბრძოლაში?

ა) თურქებს; ბ) არაბებს;
გ) სომხებს; დ) სპარსელებს.

5. რომელმა მეფემ დადო შამქორის ზავი ?

ა) გიორგიმ; ბ) დემეტრემ; გ) დავითმა; დ) ერეკლემ.

6. როდის აღესრულა ლუარსაბ II?

ა) 1614 წ; ბ) 1616; გ) 1618 წ; დ) 1620 წ.

7. რას ნიშნავს „ერისთავი“?

ა) სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელს;

ბ) ჯარის უფროსს, სარდალს;

გ) სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალს;

დ) სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლებს.

8. რა შედეგით დასრულდა გიორგიევსკის ტრაქტატი?

ა) გაუქმდა ბაგრატიონთა დინასტია;

ბ) დადგინდა რუსეთისთვის გადასახდელი ხარკის ოდენობა;

გ) რუსეთ-საქართველო შეთანხმდნენ სპარსეთთან ომზე;

დ) მოწესრიგდა სავაჭრო ურთიერთობები ოსმალეთთან.

9. რა შედეგებამდე მიიყვანა ქვეყანა 1490 წლის ქართლის დარბაზის გადაწყვეტილებამ ქვეყნის დაშლის შესახებ?

ა) პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრახამდე;

ბ) ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს დამოუკიდებლად განვითარების საშუალება მიეცათ, რაც მათ სასიკეთოდ წაადგათ;

გ) მოწესრიგდა ერთმანეთთან ვაჭრობა;

დ) დაიწყო შიდა დაპირისპირება.

10. ჩამოთვლილთაგან, რომელია სოხოისტას ომის თარიღი?

ა) 1540 წ; ბ)1545 წ; გ) 1568 წ; დ) 1572 წ;

11. რომელ დამპყრობელს ებრძოდა ქართლი VII საუკუნეში?

ა) თურქებს; ბ) არაბებს;

გ) სპარსელებს; დ) ავღანალებს.

12. რა გადაწყდა კოხტასთავის შეთქმულებაზე?

ა) მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება;

ბ) მონღოლებთან სავაჭრო შეთანხმება;

გ) მონღოლებისთვის მისაცემი ხარკის ოდენობა;

დ) დავით ულუს მეფედ არჩევა.

13. რომელი იყო ყველაზე მსხვილი ქალაქები X-XII სს-ში?

ა) დმანისი, რუსთავი, თბილისი;

ბ) არტანუჯი, უჯარმა, ჟინვალი;

გ) ქუთაისი, რუსთავი, შორაპანი.

14. რის გამო მიიღო აშოტ ბაგრატიონმა კურაპალატობა?

ა) ბიზანტიის მოკავშირეობის მოსაპოვებლად;

ბ) არაბებისგან თბილისის გათავისუფლებისათვის;

გ) მეფობის დამკვიდრებისთვის ეს წოდება აუცილებელი იყო;

დ) სომხეთთან მოკავშირეობისთვის, რადგან სომეხთა მეფეებიც ამ ტიტულს ატარებდნენ.

15. როდის მოხდა აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ?

ა) 1659 წელს; ბ) 1662 წელს;

გ) 1655 წელს; დ) 1665 წელს.

16. რომელი ცნებაა დაკავშირებული ძველკოლხურ კულტურასთან?

ა) ცული, ტაძარი, საწმისი, ოქრო;

ბ) კანონი, პირამიდა, თიხის ფირფიტა, აკინაკი;

გ) პაგოდა, ბუდა, ლამა, მოგვი;

დ) იერარქია, იარდი, პაპირუსი, ოდინი.

17. ლიტერატურის რომელ ჟანრს მიეკუთვნება „ქართლის ცხოვრება“?

ა) ჰაგიოგრაფიას; ბ) მატიანეს;

გ) სწავლებას; დ) ჰეროიკულ პოემას.

18. რომელი ტერმინები შეესაბამება შუასაუკუნეების ქართულ ხელოვნებას?

ა) მინანქარი; ბ) ემალი; გ) ფრესკა; გ) პილასტრა.

შემდეგ ეტაპზე, მე-2 დონეზე, სიტყვიერ-ლოგიკური სქემები რთულდება და მასში სიტყვა/ გრაფიკული ნიშანი ერთიანობაშია და ასეთი სახისაა:

2 დონე

1. დაადგინეთ შესაბამისობა ცნებებსა და განსაზღვრებებს შორის:

1) საფიხვნო **ა)** მამაკაცთა თავშესაყრელად განკუთვნილი ნაგებობა ან ადგილი, სადაც საუბრობდნენ საგმირო საქმეებზე, მტერ-მოყვარეზე, ქცევის ნორმებზე, წეს-ჩვეულებებზე, აგვარებდნენ პატარ-პატარა სასოფლო საქმეებს;

2) ფუთი; **ბ)** სიგრძის საზომი ერთეული;

3) კალანდობა; **გ)** ახალი წლის პირველი დღე;

4) ყურულთაი **დ)** ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პოლიტიკურ და სამხედრო საბჭოს მონღოლ და თურქ ხანებთან.

2. იპოვეთ შესაბამისობა პიროვნებებს შორის:

1) ფარნავაზი **ა)** ნერსე;
2) თეოდოსი **ბ)** მარიამი;
3) გიორგი **გ)** ქუჯი;
4) გრიგოლი **დ)** მელქისედეკი;
ე) დემეტრე..

3. იპოვეთ შესაბამისობა მოვლენასა და თარიღს შორის:

1) დარას ზავი; **ა)** 676 წ;
2) ერისმთავრობის შემოღება; **ბ)** 654 წ;
3) „დაცვის სიგელის“ დადება; **გ)** 562 წ;
4) ნიზიბინის ზავი. **დ)** 387 წ.
ე) 498 წ.

1. **წაიკითხეთ ნაწყვეტი მატიანედან და მიუთითეთ პერიოდი:**

„მეფემან... აღაშენნა ქუეყანანი მოოხრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღვთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა“.

მე-3 დონე კიდევ უფრო რთულია და უფრო გართულებული პირობითი სიმბოლოების, „სიტყვა-გასაღებების“ უფრო რთულ „თარგმანს“ და ნარატივების კიდევ უფრო ღრმად გააზრებას ითხოვს, რისი ხარისხიც

დავალების შესრულების დროს გამოჩნდება. მაგალითად:

3 დონე

წაიკითხეთ ნაწყვეტები ისტორიული თხზულებებიდან და შეასრულეთ დავალება:

ნ.მ. კარამზინი:

„რუსეთის იმპერიის დასაწყისი წარმოადგენს გასაოცარ და ერთი შეხედვით მიუღებელ შემთხვევას: სლავები თავიანთი ნებით ანადგურებენ საკუთარ სახალხო მმართველობას და ითხოვდნენ მეფეებს ვარიაგებიდან, რომელთანაც კარგი დამოუკიდებულება არც ჰქონიათ.. ვფიქრობთ, რომ ვარიაგები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ქვეყანა ჯერ კიდევ ამ მოვლენამდე, მართავდნენ ქვეყანას ძალადობის და ჩაგვრის გარეშე... ვარიაგები ანუ ნორმანები ფინელებსა და რუსებთან შედარებით განათლებულები უნდა ყოფილიყვნენ, შეეძლოთ ვაჭრობისა და ხელოსნობის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება...“

ს.მ. სოლოვიევი:

„...რამ გამოიწვია რუსი და ფინელი ტომების კავშირი?.. ეს მჭიდრო კავშირი ჩუდებს, ვესებს და სლავურ ტომებს შორის გამოწვეული იყო ვარიაგების (ვიკინგების) წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სურვილით... ამავე დროს ამ ლაშქრობებს, უცხოელებთან შეჯახებებს იწვევდა საზოგადოებრივი განვითარების დონეც - ვარიაგების განდევნის შემდეგ მათ არ უნდოდათ გაჩანაგებულ მეურნეობას დაბრუნდებოდნენ და ვერ ხედავდნენ რა სხვა გამოსავალს, თანახმა იყვნენ ხელისუფლება უცხო ძალისთვის გადაეცათ და ასეც მოიქცნენ - ქვეყნის სათავეში უცხო დინასტია მოიწვიეს... ამ პერიოდს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ის ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სხვადასხვა ტომების გაერთიანებით დაიწყო. მთავარია, რომ ამ მოვლენით იწყება რუსეთის სახელმწიფოს ისტორია...“

ნაწყვეტი ბ.ა. რიბაკოვის თხზულებიდან:

„ვარიაგები (ვიკინგები), მაშინ გამოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპაში, როდესაც კიევის რუსეთის სახელმწიფო უკვე წარმოქმნილი იყო... შეტაკებები ადგილობრივ მოსახლეობასთან გარდამავალი უპირატესობებით მიმდინარეობდა: ხან ვარიაგები იღებდნენ ხარკს სლავებისგან და ჩუდებისგან, ხან - პირიქით.. ერთადერთხელ მოხდა მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, რომ ვარიაგებმა შეძლეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება კიევში, როცა მოკლეს კანონიერი ხელისუფალი... X-XI საუკუნეებში რუსები ვარიაგებს იყენებდნენ, როგორც დაქირავებულ მეომრებს. ვარიაგებს ქირაობდნენ სვიატოსლავი და მისი ვაჟი ვლადიმირიც... ზოგჯერ ეს ხდებოდა

ბინძური მკვლელობებისთვისაც: ვარიაგებმა მოკლეს მთავარი გლებიც. ვარიაგების წინააღმდეგ ნოვგოროდში „რუსსკაია პრავდასაც“ იყენებდნენ... თუმცა რუსების კეთილგანწყობა მათ მიმართ, რუსეთის დედაქალაქ კიევში ჩამოსვლა, რუსეთის სამხედრო სამსახურში მსახური - ძირითადად იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი ითვლებოდნენ და თვლიდნენ კიდეც თავს რუსებად...“

დავალება - ტექსტებზე დაყრდნობით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას გულისხმობს რუსეთის სახელწმიფოს წარმოქმნის ე.წ. „ნორმანული თეორია“?
2. რა და რა ისტორიებს გვიყვებიან რუსი ისტორიკოსები რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ?
3. თქვენ რომელი მოსაზრება მიგაჩნიათ ყველაზე დამაჯერებლად? რატომ?
4. თქვენი აზრით, რა დაედო საფუძვლად მოსაზრებას - ვარიაგების მიერ რუსეთის სახელმწიფოს შექმნის შესახებ?

ასეთი სავარჯიშოები და გაკვეთილები მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი თავის მიმართ უნდობლობის, დაძაბულობის დაძლევაში, ადეკვატური თვითშეფასების გაკეთებაში. ამიტომ გაკვეთილზე ვიზუალიზაციის შექმნა მოსწავლეთა კომპეტენტურობის ფორმირების აქტიურ მეთოდს წარმოადგენს. ეს ყველაფერი კი პოზიტიურ გარემოს ქმნის ძირითადი მიზნის მისაღწევად - ვიზუალიზაციის დახმარებით ისტორიის გაკვეთილები იმ ნოყიერ ნიადაგად იქცევა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული წარმოდგენების ფორმირებისთვის.

II ნაწილი

ვიზუალური სქემების „მრავალფეროვნება“

ვიზუალური მასალის გამოყენებისას უფრო სწრაფად მიმდინარეობს მოსწავლეების გონებრივი განვითარება, რაც, ცხადია, სასწავლო მასალის ათვისებაზეც აისახება. ამიტომ მასწავლებელთა მიზანია, საგაკვეთილო პროცესის შესაბამისი აღჭურვილობით ისე უზრუნველყოფა. ამისათვის „სიმბოლო-გასაღებების“ გამოყენება საკმაოდ მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენს.

პირობითი სიმბოლოებიდან ისტორიული მასალის შესწავლისთვის სიტყვიერ - ლოგიკური სქემები, სქემა-კონსპექტები, სქემა-გრაფიკები და სქემა-რუკები გამოიყენება. ისინი წარმოადგენენ აზრობრივი მნიშვნელობის სისტემებს და აკმაყოფილებენ სხვადასხვა მოთხოვნებს: ლაკონურობას, აღქმის უშუალობას,

არაუმეტეს ერთ გვერდზე მეტ მოცულობას, მიმართულებების სიზუსტეს (მარჯვნივ, მარცხნივ..).

მეცადინეობების პირველ ეტაპზე მოსწავლეები იმახსოვრებენ, გაიაზრებენ სიტყვიერ-ლოგიკურ სქემებს, სქემა-კონსპექტებს, სქემა-გრაფიკებს და სქემა-რუკებს, **შემდეგ** კი ადვილად იყენებენ ლოგიკურ ოპერაციულ სინთეზს, ანალიზს, შედარებებს, განზოგადებას და კლასიფიკაციას. **ამგვარ სქემებზე მუშაობა ავითარებს მოსწავლეთა ლოგიკურ აზროვნებას და უფრო ოპტიმალური ხდება მათი მუშაობა ცნებებთან და დასკვნებთან.**

სიტყვიერ-ლოგიკური სქემებიდან შეიძლება გამოვყოთ:

1. **მოვლენათა გენიალოგიური სქემები** - მათი გამოყენებისას თვალსაჩინოა ლოგიკური კავშირები მოვლენებს, პიროვნებებსა და პოლიტიკურ ფორმებს შორის და ა.შ. თავიდან ეს სქემები გამოიყენება როგორც ლექციური თხრობის ვიზუალური თანმხლები მასალა, შემდეგ კი - მას ცოდნის გამტკიცებისა და მასალის განმეორებისთვის ვიყენებთ.

გენეალოგიური სქემების შედგენა შესაძლოა მოსწავლეთა დამოუკიდებელ სამუშაოდაც გადაიქცეს. მაგალითად, მოცემული სიტყვების მეშვეობით (დემეტრე, გიორგი, ბაგრატი, დავითი, თამარი და ა.შ.) შეადგინეთ **მოვლენათა გენიალოგიური სქემა:**

ნიმუში - მოვლენათა გენიალოგიური სქემა „საქართველო X-XII სს-ში“ (სურ.1):



(სურ.1):

2. **სქემა-კონსპექტები** - ხშირად გამოიყენება გაკვეთილებზე, რადგან საშუალებას იძლევიან, კითხვა-პასუხის გეგმის შემოკლებული ფორმით შედგენისთვის და ძირითადი მოვლენების, თარიღების, მიმდინარე მოვლენების თავისებურებების და პერსონაჟების ვიზუალური ასახვისთვის.

მაგალითი:

ფრაგმენტი სქემა-კონსპექტი თემაზე „ძველი რომის ცივილიზაცია“ (სურ.6)

რომის რესპუბლიკა ძვ.წ. III ს-ში

მმართველობა რომის რესპუბლიკაში

რესპუბლიკა *(ლათ.* - "საზოგადოებრივი საქმე") - სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის არჩევით მმართველობით ორგანოს. **უმაღლესი ხელისუფლება** ეკუთვნოდა სახალხო კრებას, რომელიც შედგებოდა მოქალაქეებისგან და მაღალ თანამდებობაზე არჩეული პირებისგან.

2 კონსული

ფლობდა უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლებას; რიგრიგობით მეთაურობდა სახალხო კრებას; კრებდა სახალხო ლაშქარს; შემოჰქონდა ახალი კანონები; ირჩეოდა 1 წლით.

სახალხო ტრიბუნი - (20-იდან 10 ადამიანი) უმაღლესი სახელისუფლო პირი, არჩეული პლებეებიდან; ჰქონდა ვეტოს უფლება; ასევე კონსულის ბრძანებების გაუქმების უფლება; კანონისთვის ხმის მიცემის უფლება; იცავდა პიროვნების ხელშეუხებლობას.

სენატი - შემადგენლობა; მასში ყოველგვარი არჩევნების გარეშე შედიოდნენ ყოფილი კონსულები, სახალხო ტრიბუნები და სხვა თანამდებობის პირები; ისინი, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე სენატის წევრები იყვნენ (ვადა-უვადოდ; 300 კაცი); ფუნქციები: ომის გამოცხადება, ზავის დადება; განაგებდა სახელმწიფო ხაზინას.

ფაქტიური ძალაუფლება რომის იმპერიაში ეკუთვნოდა დიდებულთა ჯგუფს, რომელიც შედგებოდა შვიდი კაცისგან (პატრიციისგან და მდიდარი პლებეისგან - ნობილიტეტისგან)

საერთო ნიშან-თვისებები	**რომის რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშნები**
1. რესპუბლიკა 2.უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა სახალხო კრებას.	1. ხელისუფლების წევრები გასამრჯელოს არ იღებდნენ; 2. ახალი კანონის შემოღების წინადადებით შეიძლებოდა გამოსულიყო მხოლოდ თანამდებობის პირი (კონსული, სახალხო ტრიბუნი და სხვ.) 3. მოსამართლეებად მხოლოდ სენატორები

	ინიშნებოდნენ; 4. სენატი არ ირჩეოდა უბრალო მოქალაქეებისგან. ის შედგებოდა კონსულებისგან, ტრიბუნებისგან და ა.შ.

(სურ. 6)

3. **სქემა-გრაფიკები** - საშუალებას იძლევიან გავადევნოთ თვალი ისტორიული მოვლენების დინამიკურ განვითარებას. მისი საფუძველია მასალების ანალიზი, ძირითადი ასპექტების და მათი ურთიერთკავშირის გამოვლენა, რომელიც საკუთარ მოსაზრებებს ემყარება და **ეს ის ძირითადი ღირსებაა, რომელიც სქემებს გააჩნიათ.**

ისტორიის გაკვეთილებზე აქტიურად გამოიყენება რუკა-სქემებიც (სურ. 2). ასეთი სქემებს მოსწავლეები დაწყებითი სწავლის საფეხურიდანვე იცნობენ, ამიტომ აქ მთავარი მხოლოდ ისაა, რომ გამოსახულება არ იყოს გადატვირთული ინფორმაციით, რათა არ გაძნელდეს მისი აღქმა. შესაძლოა ზოგიერთი რუკა-სქემა იმდენად „კითხვადი“ იყოს, რომ რამდენიმე საკითხის შესწავლისთვისაც გამოდგეს.

მაგალითად, სქემა „რუსეთის ტერიტორიული გაფართოება XVIII ს-ის ბოლოს“

(სურ. 3):



(სურ. 3)

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ისტორიული შემეცნების ფორმირებაში სემიოტიკური მიდგომები და ვიზუალური გამოსახულებების გამოყენება სასარგებლო და საინტერესოა. ისინი საშუალებას იძლევიან თავისუფალი და შემოქმედებითი აზროვნებისთვის, გვეხმარებიან ინფორმაციის ტრანსფორმაციაში და საბოლოო ჯამში აქტიურად და წარმატებით გამოიყენებიან სასწავლო პროცესში.